განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენს დეცენტრალიზაციის და თვითმმართველობის განვითარების მიმართულებით არსებითი რეფორმების განხორციელება, რომელმაც მართვის დემოკრატიულობა და მოსახლეობისთვის საჯარო მომსახურების მიწოდების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდა უნდა განაპირობოს.

საქართველოს მთავრობა დეცენტრალიზაციის პროცესს განიხილავს ქვეყანაში დემოკრატიისა და მისი შესაბამისი ინსტიტუტების დამკვიდრების საკვანძო ასპექტად.

მნიშვნელოვანია ასევე სუბსიდიარობის პრინციპი, რომელიც არის გარანტია, რომ საჯარო პოლიტიკა ხელისუფლების ყველა დონეზე იქნება წარმატებული და მის განხორციელებაში მოსახლეობის დიდი მასები მიიღებენ მონაწილეობას. სუბსიდიარობისა და უფლებამოსილებებთან რესურსების შესაბამისობის პრინციპები, კონსტიტუციის ახალი რედაქციით, საკონსტიტუციო ნორმის რანგშია აყვანილი, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დეცენტრალიზაციის ხარისხსა და თვითმმართველობის ეფექტიანობას.

თვითმმართველობის რეფორმა, მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებისა და ფინანსური დამოუკიდებლობის გაზრდას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მეტ ჩართულობასა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა მეტ დეცენტრალიზაციას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

მდგრადი განვითარების პირობებში აუცილებელია რესურსებზე თანასწორი ხელმისაწვდომობა, ამ მიმართულებით მყარ სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომელიც ყველა მუნიციპალიტეტს თანაბარ პირობებში აყენებს.

ზემოაღნიშნული რეფორმისა და სულისკვეთების გაგრძელებას წარმოადგენს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი (შემდგომში - კანონპროექტი). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (შემდგომში - კოდექსი) ზოგიერთი სანქცია, სპეციფიკის გათვალისწინებით, დადგენილი იყო მხოლოდ იმ ქმედებისთვის რომელიც ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები, გარკვეული გამონაკლისების გარდა, სხვა მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების მსგავსია, არ არსებობს სხვა მუნიციპალიტეტებთან მიმართებით, მისი განსხვავებულ პირობებში ჩაყენების საფუძველი. აღნიშნულმა განაპირობა წინამდებარე კანონპროექტის მომზადებისა და ქვეყნის მასშტაბით, ყველა მუნიციპალიტეტისათვის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების მოსალოდნელი შედეგია კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული სახდელების დაკისრების ერთნაირი მიდგომის საფუძველზე დარეგულირება, შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად, კანონპროექტის თანახმად, კოდექსით გათვალისწინებული ის მუხლები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში ერთსა და იმავე დარღვევებზე სანქციებს და დაჯარიმების წესს განსხვავებულად განსაზღვრავდნენ, ან მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის არეგულირებდნენ, გავრცელდება ასევე სხვა მუნიციპალიტეტებზე და დამკვიდრდება ერთიანი მიდგომა. განსხვავებული იქნება მხოლოდ სანქციების ნაწილი, ქალაქ თბილისის ეკონომიკური და სოციალური მასშტაბების გათვალისწინებით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, კოდექსის შესაბამის ნორმებში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები:

ა) ცვლილება ხორციელდება 29-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებდა საგნის კონფისკაციას, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო, მდგომარეობს მის სახელმწიფო საკუთრებაში იძულებით უსასყიდლოდ გადაცემაში, აღნიშნული არ ვრცელდებოდა მხოლოდ კოდექსის 153^6 მუხლით გათვალისწინებულ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე) ქმედებაზე, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით, ზემოაღნიშნული კონფისკაციის ფორმა არ გავრცელდება ასევე კოდექსის 153^3 მუხლით გათვალისწინებულ (გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე) ქმედებაზე.

ასევე ცვლილება ხორციელდება 29-ე მუხლის მე-3 ნაწილში, რომელიც ითვალისწინებდა იმ საგნის კონფისკაციას, რომელიც 153^6 მუხლით გათვალისწინებულ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე) ქმედებისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის ობიექტი იყო, ექვემდებარებოდა შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში იძულებით, უსასყიდლო გადაცემას, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით, აღნიშნული კონფისკაციის ფორმა გავრცელდება ასევე კოდექსის 153^3 მუხლით გათვალისწინებულ (გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე) ქმედებაზე;

ბ) კოდექსის 152-ე მუხლის თანახმად, დგინდება ჯარიმა ეზოების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებური გადათხრის, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვისა და გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვებითვის. კანონპროექტის თანახმად, აღნიშნული ნორმის რეგულირების სფერო ფართოვდება და ეზოების, ქუჩებისა და მოედნების გარდა ზემოაღნიშნული ქმედებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრა ასევე სკვერებშიც, რაც ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია და ხელს შეუწყობს სკვერებში სისუფთავის სათანადო დაცვას. ამასთან დაჯარიმებას დაექვემდებარა არამხოლოდ თვითნებური გადათხრა ან დაზიანება, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვა, გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების გარეშე მიტოვება, არამედ უფლებამოსილი ორგანოს მიერ სამუშაოების წარმოებისათვის დადგენილი პირობების დარღვევა ან/და

შეუსრულებლობაც რაც ერთი მხრივ მიმდინარე სამუშაოების შესრულების პროცესს გახდის უფრო ეფექტიანს და მეორე მხრივ უფლებამოსილ ორგანის მისცემს სამართლებრივ საფუძველს შესაბამისი სანქცია დააკისროს დამრღვევს, ვინაიდან სანქციის არარსებობის შემთხვევაში, წესების დადგენა აზრს კარგავს.

ასევე, კანონპროექტის თანახმად, მუხლს ემატება შენიშნვა, რომლის თანახმად, ჯარიმის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი ჩადენილი სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება;

გ) კოდექსის 153^3 მუხლით ჯარიმა დგინდება შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობისათვის. არსებული რეგულაცია რჩება უცვლელი, თუმცა კანონპროექტის თანახმად, ნორმას ემატება საქნქციები ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენისთვის, ასევე აღნიშნული ქმედების სატრანსპორტო საშუალების, მასზე მისაბმელის ან ნებისმიერი სხვა მოძრავი საშუალების გამოყენებით ჩადენისთვის. ეს უკანასკნელი ქმედება, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი ორგანოს ან უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ითვალისწინებს შესაბამის სანქციას.

ასევე, მუხლს ემატება შენიშვნა, რომლითაც განიმარტება დაუმორჩილებლობა ამ ნორმის მიზნებისთვის.

ამასთან დგინდება, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების არსებობისას, სამართალდამრღვევის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამართალდარღვევის საგანი კონფისკაციას ექვემდებარება, ხოლო სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დადგენის უფლებამოსილება ენიჭება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური, ხოლო ცვლილების შედეგად - მუნიციპალიტეტები. საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოები განიხილავენ მხოლოდ იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით. ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებს სატრანსპორტო საშუალების (გარდა რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტისა) მძღოლის, რკინიგზის, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის მესაკუთრის/მფლობელის, აგრეთვე ფიზიკური პირის მიმართ (გარდა ფიზიკური პირის მიერ რკინიგზის ტრანსპორტში ჩადენილი დარღვევისა));

დ) 159^1 მუხლის დისპოზიცია, რომელიც ადგენს ჯარიმას არასათანადო რეკლამის განთავსებისთვის, უცვლელი რჩება, მხოლოდ ემატება ჯარიმა იგივე ქმედების იმ პირის მიერ ჩადენისათვის, რომელსაც 1 წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი;

ე) ცვლილება შედის 208-ე მუხლში, რომლის მოქმედი რედაქციით რაიონული (საქალაქო) სასამართლო განიხილავს კოდექსით გათვალისწინებული რიგი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს და მათ შორის 153^3 მუხლით განსაზღვრულ ქმედებასაც, ხოლო წარმოდგენილი ცვლილების თანახმად რაიონული

(საქალაქო) სასამართლო კოდექსით გათვალისწინებული რიგი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებთან ერთად განიხილავს 153^3 მუხლის მხოლოდ მე-2 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს;

ვ) ცვლილება შედის 209-ე მუხლის პირველ ნაწილში და სადაც სამართალდარღვევებს, რომლებსაც განიხილავს საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოები, ემატება 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები, კერძოდ, გარე ვაჭრობას შესაბამისი ნებართვის გარეშე, ამ ქმედების გამეორებით ჩადენასა და ამ ქმედების სატრანსპორტო საშუალების, მასზე მისაბმელის ან ნებისმიერი სხვა მოძრავი საშუალების გამოყენებით.

ასევე, ცვლილება შედის 209-ე მუხლის 2^1 ნაწილში და ემატება 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებები, რომელთა ჩადენისას თუ შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე ადებს ადმინისტრაციულ სახდელს;

ზ) ცვლილება შედის 209^3 მუხლის:

ზ.ა) პირველ ნაწილში და ემატება 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, რომლებსაც განიხილავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;

ზ.ბ) 2^1 ნაწილში და ემატება 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, რომელთა ჩადენისას თუ შესაბამისი სამართალდარღვევა არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას);

ზ.გ) მე-4 ნაწილში და ემატება 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, რომელთა ჩადენისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივარს იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური.

თ) ცვლილება ხორციელდება 239-ე მუხლის მე-14 ნაწილში. ცვლილების გათვალისწინებით 153^3 მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებებისთვის, რომელიც ითვალისწინებს გარე ვაჭრობას შესაბამისი ნებართვის გარეშე, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ასევე გარე ვაჭრობას შესაბამისი ნებართვის გარეშე, სატრანსპორტო საშუალების, მასზე მისაბმელის ან ნებისმიერი სხვა მოძრავი საშუალების გამოყენებით ჩადენა, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასთან, შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს შეადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ უფლებამოსილი პირები. ხოლო 239-ე მუხლის 27-ე ნაწილში ცვლილების თანახმად, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებებით გათვალისწინებული ქმედებებისთვის,

რომლებიც ითვალისწინებს გარე ვაჭრობას შესაბამისი ნებართვის გარეშე, ამ ქმედების გამეორებით ჩადენასა და ამ ქმედების სატრანსპორტო საშუალების, მასზე მისაბმელის ან ნებისმიერი სხვა მოძრავი საშუალების გამოყენებით, შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს შეადგენენ მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ უფლებამოსილი პირები;

ი) ცვლილება ხორციელდება 240[1] მუხლის პირველ ნაწილში და წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, 153[3] მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებისთვის, კერძოდ გარე ვაჭრობას შესაბამისი ნებართვის გარეშე, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსს და მისი გამოწერის წესს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო;

კ) ცვლილება ხორციელდება 242-ე მუხლის 3[1] ნაწილში და წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, 153[3] მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებებისთვის, კერძოდ გარე ვაჭრობას შესაბამისი ნებართვის გარეშე, ამ ქმედების გამეორებით ჩადენასა და ამ ქმედების სატრანსპორტო საშუალების, მასზე მისაბმელის ან ნებისმიერი სხვა მოძრავი საშუალების გამოყენებით, გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევებში სამართალდამრღვევს გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;

ლ) ცვლილება ხორციელდება 243-ე მუხლის 2[1] ნაწილში და წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, 153[3] მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის, კერძოდ გარე ვაჭრობას შესაბამისი ნებართვის გარეშე, სამართალდამრღვევი საამისოდ უფლებამოსილმა პირმა შეიძლება მიიყვანოს პოლიციაში, თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ;

მ) ცვლილება ხორციელდება 262-ე მუხლის მე-2 ნაწილში და წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, 153[3] მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისთვის დადგენილი სპეციალური 3 დღიანი ვადა ამოღებული იქნება და მასზე გავრცელდება ამავე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 15 დღიანი ვადა, ვინაიდან კანონპროექტის თანახმად უნდა დამკვიდრდეს ზოგადი მიდგომა ქალაქ თბილისსა და სხვა მუნიციპალიტეტებთან დაკავშირებით და ამ ნაწილში მუნიციპალიტეტების შემთხვევაში განსხვავებული მიდგომის საფუძველი არ არსებობს;

ნ) ცვლილების თანახმად, 312[1] მუხლის მე-5 ნაწილიდან 153[3] მუხლი ამოღებულ იქნება, ვინაიდან განსაკუთრებული ხასიათის ღონისძიების სახით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის, უშუალო ობიექტის, საგნის, საქონლის, ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალების დროებითი ჩამორთმევის და 3 თვემდე ვადით შენახვის საჭიროება არ არსებობს, იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტის 29–ე მუხლის მე–3 ნაწილში განსახორციელებელი ცვლილება სამართალდარღვევის ობიექტს უქვემდებარებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში იძულებით უსასყიდლოდ გადაცემას. შესაბამისად, წინამდებარე ცვლილებით კოდექსის 29–ე მუხლის მე–3 და 312[1] მუხლის მე–5 ნაწილები შესაბამისობაში მოვა ერთმანეთთან.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას, რაც გააუმჯობესებს სოციალურ და ეკონომიკურ ფონს მუნიციპალიტეტებში.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი საერთო წესის შესაბამისად, კანონი ამოქმედდება მისი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების გამოყოფასთან და შესაბამისად, არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმებიდან, საურავებიდან) რომელიც გამოწერილია ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა შესაბამისი სამსახურების მიერ მიემართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმებიდან, საურავებიდან) რომელიც გამოწერილია მუნიციპალიტეტის ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისად მიემართება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

კანონპროექტით გათვალისწინებული სამართალდარღვევები იქონიებს გავლენას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რაც გამოწვეული იქნება პროექტით დაწესებულ სამართალდარღვევებზე ოქმის შედგენის უფლებამოსილების მუნიციპალიტეტზე მინიჭებით, ასევე გასათვალისწინებელია, რომ უნებართვო გარე ვაჭრობასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის ობიექტი გადავა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. შემოსავლის რაოდენობა დამოკიდებული იქნება სამართალდარღვევების რაოდენობაზე (პროექტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელები არის ახალი, შესაბამისად სტატისტიკა სამართალდარღვევების რაოდენობასა და შესაბამის მოსალოდნელ შემოსავალზე არ არსებობს).

კანონპროექტის მიღებას გავლენა არ ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან 153[3] მუხლის მოქმედი რედაქციით უნებართვოდ გარე ვაჭრობასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევაზე ოქმის შედგენა ისედაც განეკუთვნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილებას.

კანონპროექტის მიღებას გავლენა არ ექნება ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტით გათვალისწინებული შესაბამისი ადმინისტრაციულ სახდელებზე რეაგირებას განახორციელებს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური, რომლის კომპეტენციაშიც ისედაც შედის სამართალდარღვევებზე მონიტორინგისა და რეაგირების განხორციელება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ცვლილების ამოქმედება არ იქონიებს გავლენას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან მოქმედი 153[3] მუხლით (გარე ვაჭრობა) გათვალისწინებულ ადამინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ოქმებს ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

208-ე მუხლის ცვლილებით დაკონკრეტდა, რომ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსახილველ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განეკუთვნება 153[3] მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, ცვლილება ტექნიკური ხასიათისაა, ვიანიდან 153[3] მუხლის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას ხოლო 208[1] მუხლის თანხმად ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო. შესაბამისად რაიონული (საქალაქო) სასამართოლოს განსახილველ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ჩამონათვალში მიეთითა მხოლოდ ის ადმინისტრაციული სამართალდარღვევები რომლებზეც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა.

დამატებით ავღნიშნავთ, რომ ადმინისტრაციული პატიმრობისთვის ხარჯი 1 დღით სახელმწიფოსთვის შეადგენს 8 ლარსა და 13 თეთრს. ხარჯის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირთა მიმართ რომლებიც დაჯარიმდებიან ცვლილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის. ფინანსური ზეგავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება მათ მიერ ჩადენილ სამართალდარღვევების რაოდენობაზე (პროექტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული

სახდელები არის ახალი, შესაბამისად სტატისტიკა სამართალდარღვევების რაოდენობასა და შესაბამის მოსალოდნელ ფინანსურ გავლენაზე არ არსებობს).

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადი და მოსაკრებელი, თუმცა პროექტი ითვალისწინებს ახალ სამართალდარღვევების განსაზღვრას და შესაბამისად მასზე სანქციების შემოღებას:

ა) მოქმედი რედაქციით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიიჩნევა ეზოების, ქუჩებისა და მოედნების თვითნებური გადათხრა, მათი სამშენებლო მასალებით ჩახერგვა და გადათხრის ადგილების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის გარეშე მიტოვება, ცვლილებით სამართალდარღვევად ასევე ჩაითვლება აღნიშნული ქმედებების განხორციელება სკვერებშიც. ასევე, დაჯარიმებას დაექვემდებარება უფლებამოსილი ორგანოს მიერ სამუშაოების წარმოებისათვის დადგენილი პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობაც. აღნიშნული სამართალდარღვევისთვის სახდელი ზომა ფიზიკური პირისთვის 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისთვის 1000 ლარის ოდენობით განისაზღვრება.

ბ) კოდექსის 153[3] მუხლით ჯარიმა დგინდება შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობისათვის. არსებული რეგულაცია რჩება უცვლელი, თუმცა კანონპროექტის თანახმად, დგინდება დამატებითი პასუხისმგებლობის ზომები, ემატება საქნქციები ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენისთვის, რომელიც გამოიწვევს ფიზიკური პირის ან/და იურიდიული პირის დაჯარიმებას 100-დან 200 ლარამდე ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით. ასევე აღნიშნული ქმედების სატრანსპორტო საშუალების, მასზე მისაბმელის ან ნებისმიერი სხვა მოძრავი საშუალების გამოყენებით ჩადენისთვის გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის (შესაბამისი საქონლის) კონფისკაციით. ეს ქმედება, რომელსაც თან ახლავს შესაბამისი ორგანოს ან უფლებამოსილი პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით, ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით;

- მუნიციპალიტეტებში არასათანადო რეკლამის განთავსებისთვის (გავრცელების) თბილისის ანალოგიურად 1 წლის მანძილზე არასათანადო რეკლამის განმეორებით განთავსებისას (გავრცელებისას) სამართალდამრღვევი დაჯარიმდება ჯარიმის ორმაგი ოდენობით. ჯარიმა არასათანადო რეკლამის განთავსებისთვის, უცვლელი რჩება.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.